ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №63

24.07.2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, ლევან ჟორჟოლიანი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ირაკლი ზარქუა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ჯაბა ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **ნინო რუხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **ზაზა მამალაძე** -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა გაიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 22 ივლისის №12-03202045-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 22 ივლისის №12-03202047-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 23 ივლისის №12-03202053-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 23 ივლისის №12-03202054-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 22 ივლისის №12-03202045-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ო. ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტებით რიგ შემთხვევაში იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 ივლისის №20.737.939 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტი), ასევე, განმარტებითი ბარათის სახის სახით წარმოდგენილია 1 წინადადება - №01201691410-67.

განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01201691410-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომში, შერმადინის ქუჩა №49ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.038.484-ის ნაწილზე) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 3 -ით (სზ-3) ცვლილება.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით მთლიან მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 22 ივნისის №01201743957 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.038.484) ნაწილზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01201691410-67 განცხადებასთან (სულ: 1 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 22 ივლისის №12-03202045-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01201691410-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 22 ივლისის №12-03202045-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01201691410-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 22 ივლისის №12-03202047-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ო. ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 ივლისის №20.739.937 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტი), ასევე, განმარტებითი ბარათის

სახით (სულ: 6 წინადადება - №01201692533-67, №01201823920-67, №01201782607-67, №01201553101-67, №01201833611-67, №01201893086-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01201692533-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, იმედაძის ქუჩა №47; ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩა №47-ში მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.009.011, №01.14.08.009.028, №01.14.08.009.029) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უჩანეიშვილის ქუჩა №47 და იმედაძის ქუჩა №47-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის და განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისს №312 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომელიც ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, იმედაძის ქუჩა №47; ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩა №47-ში მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.009.011, №01.14.08.009.028, №01.14.08.009.029) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01201823920-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი, ნოდარ დუმბაძის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.01.766) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 ივლისის №01201892788 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენა.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01201782607-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში ლომინაძის ქუჩა №29-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.13.009.036) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის

7 ივლისის №16-0120189635 წერილის მიხედვით: ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია ფაქტობრივად არ წარმოადგენს გზას და მოთხოვნილ მონაკვეთზე ზონის ცვლილება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე უარყოფითად არ იმოქმედებს, სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.13.009.036) გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს, რადგან სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) კვეთს კერძო საკუთრებას.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01201553101-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ტერენტი გრანელის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.019.032) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.019.032) ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5).

აღნიშნული საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებული განაშენიანება არ წარმოადგენს სამრეწველო ფუნქციით დატვირთულ ტერიტორიას.

№01201553101-67 განცხადებით წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით, საკრებულოსა და კომისიის წევრების (გ. ტყემალაძე, გ. დოხტურიშვილი, რ. სოხაძე, ლ. ჟორჟოლიანი) მიერ მოთხოვნილი იქნა დამატებითი ინფორმაცია (დასაბუთება) №01.16.06.019.032 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, ასევე, ფუნქციური ზონის ცვლილების განხორციელების შემთხვევაში ტერიტორიის შემდგომი განვითარების თაობაზე.

მომხსენებელმა, ბ-ნმა ო. ჩიტიძემ სხდომაზე წარადგინა მოთხოვნილი ინფორმაცია, რომლის თანახმად, №01.16.06.019.032 საკადასტრო მიწის ნაკვეთი არის თვითმმართველი ქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება და სამომავლოდ იგეგმება მისი გასხვისება, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების მიზნით.

წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, **აზრი გამოთქვეს:**

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა რ. სოხაძემ, ბ-ნმა რ. ჟორჟოლიანმა - №01.16.06.019.032 საკადასტრო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების მიზნით გასხვისებამდე,

საჭიროა შესწავლილ იქნას №01.16.06.019.032 საკადასტრო ტერიტორიის მიმდებარე დასახლების ურბანული განვითარების პოტენციალი. რის გამოც, მიზანშეწონილია საკითხის განხილვა გადადებულ იქნას დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ №01.16.06.019.032 საკადასტრო ტერიტორიის მიმდებარე დასახლების ურბანული განვითარების პოტენციალის გათვალისწინებით, ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის წარდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01201833611-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №15ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.04.030.044) მოთხოვნილია ძირითადი რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა „ახალი ოლიმპიური სასახლის" ტერიტორიაზე (მის.: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №15ა) ახალი მულტიფუნქციური ინფრასტრუქტურული სპორტული ობიექტის მშენებლობის მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 10 ივლისის №01201923068 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01201893086-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.03.652) ინდივიდუალური სააგარაკე უბნისა და ბავშვთა დასასვენებელი ბანაკის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 ივნისის №1392 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №154 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01201692533-67, №01201823920-67, №01201782607-67, №01201833611-67 და №01201893086-67 განცხადებასთან (სულ: 5 წინადადება) დაკავშირებით **კომისიის** წევრთა მიერ **განსხვავებული** აზრი, **შეკითხვები** და **წინადადებები** არ **გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა **გიორგი** დოხტურიშვილმა **კენჭისყრაზე** დასვა **შემდეგი** **წინადადება:**

1. **გადადებულ იქნას №01201553101-67 განცხადებით** მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ტერენტი გრანელის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.019.032) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილების საკითხის განხილვა, **დამატებითი შესწავლის მიზნით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს** და **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 22 ივლისის №12-03202047-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **დადგენილების** პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01201692533-67, №01201823920-67, №01201782607-67, №01201833611-67, №01201893086-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას №01201553101-67 განცხადებით** მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ტერენტი გრანელის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.06.019.032) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილების საკითხის განხილვა, **დამატებითი შესწავლის მიზნით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 22 ივლისის №12-03202047-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01201692533-67, №01201823920-67, №01201782607-67, №01201833611-67, №01201893086-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 23 ივლისის №12-03202053-03 წერილი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტებით რიგ შემთხვევაში იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 22 ივლისის №20.792.990 განკარგულებით და

დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტი), ასევე, განმარტებითი ბარათის სახის სახით წარმოდგენილია 6 წინადადება - №01201783156-67, №01200701731-67, №0120173118-67, №01201781379-67, №0120174866-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა.

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01201783156-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, თევდორე ტირონის ქუჩა №14ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.023.373) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 ივლისის №01201922992 წერილის მიხედვით, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების თანახმად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის მოხსნა.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01200701731-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარაბდის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.082) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 ივლისის №01201923135 წერილის მიხედვით სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება, კერძოდ, სატყეო ზონა შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3).

№01200701731-67 განცხადებით წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით, საკრებულოსა და კომისიის წევრების (გ. ტყემალაძე, რ. სოხაძე) მიერ მოთხოვნილი იქნა დამატებითი ინფორმაცია (დასაბუთება) №01.14.11.064.082 საკადასტრო მიწის ნაკვეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებული სატყეო ზონის ცვლილების, ასევე, ფუნქციური ზონის ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ტერიტორიის შემდგომი განვითარების თაობაზე.

მომხსენებლის, ბ-ნი ო. ჩიტიძის მიერ სხდომაზე წარმოდგენილი იქნა მოთხოვნილი ინფორმაცია, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარაბდის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.082, მიწის ნაკვეთის ფართობი: 125 კვ.მ.; ფუნქციური ზონის ცვლილების ფართობი: 51 კვ.მ.), ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). ხოლო „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების მიღებამ გამოიწვია მესაკუთრეთა უფლებების შეზღუდვა სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით. კონკრეტულ შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა №01200701731-67 განცხადებით მოითხოვა 2014-2018 წლის გენერალური გეგმით ფუნქციური ზონირების რუკით გავრცელებული საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) დაბრუნება.

წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, **აზრი გამოთქვეს:**

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ - მიზანშეწონილია არამხოლოდ №01.14.11.064.082 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე, არამედ მის მომიჯნავედ, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე გავრცელებული ფუნქციური ზონის - სატყეო ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა საკითხის განხილვა გადადებულ იქნას დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№0120173118-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარაბდის ქუჩა №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.086) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) ცვლილება.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.086) ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

№0120173118-67 განცხადებით წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით, საკრებულოსა და კომისიის წევრების (გ. ტყემალაძე, რ. სოხაძე) მიერ მოთხოვნილი იქნა დამატებითი ინფორმაცია (დასაბუთება) №01.14.11.064.086 საკადასტრო მიწის ნაკვეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებული სატყეო ზონის ცვლილების, ასევე,

ფუნქციური ზონის ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ტერიტორიის შემდგომი განვითარების თაობაზე.

მომხსენებლის, ბ-ნი ო. ჩიტიძის მიერ სხდომაზე წარმოდგენილი იქნა მოთხოვნილი ინფორმაცია, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ქუჩა №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.086, მიწის ნაკვეთის ფართობი: 649 კვ.მ.; ფუნქციური ზონის ცვლილების ფართობი: 240 კვ.მ.), „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). ხოლო „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების მიღებამ გამოიწვია მესაკუთრეთა უფლებების შეზღუდვა სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით. კონკრეტულ შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა №0120173118-67 განცხადებით მოითხოვა 2014-2018 წლის გენერალური გეგმით ფუნქციური ზონირების რუკით გავრცელებული საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) დაბრუნება.

წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, **აზრი გამოთქვეს:**

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ - მიზანშეწონილია არამხოლოდ №01.14.11.064.086 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე, არამედ მის მომიჯნავედ, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე გავრცელებული ფუნქციური ზონის - სატყეო ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა საკითხის განხილვა გადადებულ იქნას დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01201781379-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, („ბაჭყალა") მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.047.126) მოთხოვნილია სატყეო ზონის სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 ივლისის №01201922553 წერილით, სამსახური თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.047.126) ვრცელდებოდა სპეციალური ზონა 2 (სპეცზ–2).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, საკრებულოსა და კომისიის წევრებმა (გ. ტყემალაძე, გ. დოხტურიშვილი, რ. სოხაძე) მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№01201781379-67 განცხადების** განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№0120174866-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, მარკო პოლოს I გასასვლელი №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.043.781) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №01201811758 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.72.14.043.781 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებულ №01.72.14.059.004; №01.72.14.059.005; №01.72.14.032.627; №01.72.14.032.626 და №01.72.14.043.782 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება, ვინაიდან, აღნიშნული მიწის ნაკვეთების ნაწილზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ) ხოლო მცირე ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 14 ივნისის №18-01201961585 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური თანახმაა, მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.059.004; №01.72.14.059.005; №01.72.14.032.627; №01.72.14.032.626;

№01.72.14.043.782) სარეკრეაციო ზონა (რზ) შეიცვალოს საცხოვრებელი ზონით (სზ) და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა.

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით** ხორციელდება სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე სატყეო ზონის არსებობა წარმოადგენს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს. სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილებით მოხდება ტექნიკური ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01201783156-67, №0120174866-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით წარმოდგენილ **განცხადებასთან (სულ: 3 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **გადადებულ იქნას** დამატებითი შესწავლის მიზნით:

   1) **№01200701731-67 განცხადებით მოთხოვნილი** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარაბდის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.082) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხის განხილვა;

   2) **№0120173118-67 განცხადებით მოთხოვნილი** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარაბდის ქუჩა №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.086) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) ცვლილების საკითხის განხილვა;

   3) **№01201781379-67 განცხადებით მოთხოვნილი** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, („ბაჭყალა") მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.047.126) სატყეო ზონის სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილების და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხის განხილვა.

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 23 ივლისის №12-03202053-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01201783156-67, №0120174866-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას** დამატებითი შესწავლის მიზნით:

   1) **№01200701731-67 განცხადებით მოთხოვნილი** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარაბდის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.082) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხის განხილვა;

   2) **№0120173118-67 განცხადებით მოთხოვნილი** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარაბდის ქუჩა №36-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.064.086) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) ცვლილების საკითხის განხილვა;

   3) **№01201781379-67 განცხადებით მოთხოვნილი** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, („ბაჭყალა") მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.047.126) სატყეო ზონის სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილების და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხის განხილვა.

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 23 ივლისის №12-03202053-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01201783156-67, №0120174866-67 და ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 23 ივლისის №12-03202054-03 წერილი)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 22 ივლისის №20.791.991 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტი), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 8 წინადადება - №01201461232-67, №0120102182-67, №01201821559-67, №0120041375-67, №0120155797-67, №0120146338-67, №01201561358-67, №01201632738-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01201461232-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.30.001.261) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქ. თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.30.001.261) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივლისის №152 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების

გეგმის პროექტი, რომლიც აღნიშნულ ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.30.001.261) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0120102182-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.399) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

,ქ. თბილისში, სოფელ ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.399) და მის მიმდებარედ არსებულ უფლებადაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №151 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ადგენს აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, სოფელი ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.399) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01201821559-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დოლაბაურის ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.045.107) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 ივლისის №01201922965 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№0120041375-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსსა და ქავთარაძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.04.029.054) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა-1 (რზ-1) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 3 ივლისის №01201853408 წერილის მიხედვით, სამსახური არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1 -ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№0120155797-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.17.001.018) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია სასწავლო კორპუსისა და სპორტული დარბაზის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 21 ივლისის №18-01202033117 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის მოხსნა.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№0120146338-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №158-ის მიმდებარედ, №158, №156ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.026.131) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ- საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 8 ივნისის №01201603868 წერილის მიხედვით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების თანახმად, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) და მცირე ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ საკადასტრო ერთეულზე ფაქტობრივი მდგომარეობით ფიქსირდება არსებული შენობა-ნაგებობა, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №158-ის მიმდებარედ, №158, №156ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.026.131) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მისაღებია მიწის ნაკვეთის №0120146338-67 განცხადებაზე წარმოდგენილი მოცულობით განვითარების პირობით.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01201561358-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.095) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 12 ივნისის №01201641631 წერილით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) შეიცვალოს სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3).

№01201561358-67 განცხადებით წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით, საკრებულოსა და კომისიის წევრების (გ. ტყემალაძე, გ. დოხტურიშვილი, რ. სოხაძე) მიერ მოთხოვნილი იქნა დამატებითი ინფორმაცია №01.15.07.017.095 საკადასტრო მიწის ნაკვეთის კერძო საკუთრებაში ფლობის (გადაცემის) პერიოდის, გასხვისების ფორმის, კერძო საკუთრებაში გადაცემისას მასზე გავრცელებული ფუნქციური ზონისა და სამშენებლოდ გამოყენების შეზღუდვების, ასევე, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე-ნარგავების მდგომარეობის თაობაზე.

ამას გარდა, ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა მოითხოვა №01.15.07.017.095 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების მდგომარეობის ამსახველი ფოტო-მასალის სხდომაზე წარდგენა და საკადასტრო მიწის ნაკვეთის ინტერაქტიულ რუკაზე ჩვენება.

მომხსენებელმა (ო. ჩიტიძე) უზრუნველყო მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სხდომაზე მიწოდება, რომლის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, №01.15.07.017.095 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე ფუნქციურ ზონად განისაზღვრა სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" (მუხლი 16, პირველი პუნქტი, „გ" ქვეპუნქტი) თანახმად, სარეკრეაციო ზონა 1-ში (რზ-1) დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის,

სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკების. ხოლო, არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) შეცვლის შემთხვევაში, დასაშვები იქნება განაშენიანების რეგულირების წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობების (შენობა-ნაგებობების) მშენებლობა (მუხლი 16, პირველი პუნქტი, „ე" ქვეპუნქტი).

№01.15.07.017.095 საკადასტრო მიწის ნაკვეთი 2019 წლის ნოემბრამდე სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - განცხადების რეგისტრაციის №882019983173), რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულების (ხელშეკრულება №2019112869055 დამოწმების თარიღი: 06.01.2020წ.) საფუძველზე გადაეცა კერძო პირს. ამის შემდეგ, ახალმა მესაკუთრემ, №01.15.07.017.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, 2020 წლის 21 ივლისს გამიჯნა ორ დამოუკიდებელ მიწის ნაკვეთად.

ასევე, ინტერაქტიული რუკისა და ფოტო-მასალის მეშვეობით, სხდომის მონაწილეები გაეცნენ №01.15.07.017.095 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას. წარმოდგენილი ფოტო-მასალის თანახმად, საკადასტრო მიწის ნაკვეთი გამწვანებულია მრავალწლოვანი ხე-მცენარეებით.

წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, **აზრი გამოთქვეს:**

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმამ ბ-ნმა რ. სოხაძემ, ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა - იმის გათვალისწინებით, რომ №01.15.07.017.095 საკადასტრო მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებამდე საკადასტრო მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 1 და ასევე, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი გამწვანებულია მრავალწლოვანი ხე-ნარგავებით, №01.15.07.017.095 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) მიზანშეუწონლად იქნას მიჩნეული.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა **კენჭისყრაზე დასვა №01201561358-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.095) მოთხოვნილი სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილებისა და აღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5
თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01201632738-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.217) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.217) ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ- 1) და მცირე ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.217) გავრცელდა მთლიანად საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 17 ივნისის №01201691755 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.217) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის მოხსნა სამსახურისთვის მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01201461232-67, №0120102182-67, №01201821559-67, №0120041375-67, №0120155797-67, №0120146338-67 და №01201632738-67 განცხადებასთან (სულ: 7 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **უარი ეთქვას №01201561358-67 განცხადებით მოთხოვნილ** ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.095) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილებას.

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 23 ივლისის №12-03202054-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 7 წინადადება - №01201461232-67, №0120102182-67, №01201821559-67, №0120041375-67, №0120155797-67, №0120146338-67, №01201632738-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი